მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №46
2018 წლის 30 მარტი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/02/2018, 010250000.35.153.016407), კერძოდ:

1. დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური განაკვეთები დანართი №2-ის შესაბამისად“;

2. დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

3. დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 მარტის №30 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 31/03/2011, 210020010.35.153.016058).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ბაქრაძე**

„დანართი №2

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური განაკვეთები

№	დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები	ზომის ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა m^3	განაკვეთი თვეში $1m^3$ ნარჩენზე 20 ლარი
1	2	3	4	5

1.	მუზეუმები, ბიბლიოთეკები	საერთო ფართის 1მ^2	0,04	0,07
2.	ოფისები, სააგენტოები, სახელმწიფო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები	საერთო ფართის 1მ^2	0,08	0,13
3.	კულტურის სახლები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,331	0,55
4.	უმწეოთათვის უფასო სასადილოები, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები	მომსამხურების ერთეული	0,128	0,21
5.	სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთ მოსწავლეზე, აღსაზრდელზე	0,08	0,13
6.	სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები	მომსამხურების ერთეული 1 საწოლზე	1,72	2,87
7.	საოჯახო სასტუმროები	მომსამხურების ერთეული 1 საწოლზე	0,8	1,30
8.	საავადმყოფოები	მომსახურების ერთეული, 1 საწოლზე	1,157	1,92
9.	პოლიკნილიკები, ექიმების, სტომატოლოგიური და სამედიცინო კაბინეტები	საერთო ფართის 1მ^2	0,16	0,27
10.	სტადიონები, მანეჟები, საჯინიბოები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებები	ღია ფართის 1მ^2 დახურული ფართის 1მ^2	0,02 0,08	0,03 0,13
11.	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1მ^2	0,76	1,27
12.	სამრეწველო საქონლის მაღაზიები, აფთიაქები, ვეტ-აფთიაქები, ზოომაღაზიები, საუველირო მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,25	0,42
13.	აგრარული ბაზრები (სამუშაო ფართი), ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები, შერეული საქონლის ბაზრობები (მათ შორის: შინაურცხოველთა და ფრინველთა ბაზრობები)	საერთო ფართის 1მ^2	0,3 0,21	0,50 0,35
14.	საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები	საერთო ფართის 1მ^2	0,21	0,35
15.	საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1მ^2 დახურული ფართის 1მ^2	0,02 0,04	0,03 0,07
16.	სანერგე მეურნეობები და სათბურები, ფერმები, სასაკლაოები	ღია საერთო ფართის 1მ^2 დახურული საერთო ფართის 1მ^2	0,008 0,04	0,013 0,07

17.	ავტოგასამართი, ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1მ^2	0,08	0,13
18.	სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები, შავი და ფერადი ლითონების მიმღები პუნქტები	ღია საერთო ფართის 1მ^2 დახურული საერთო ფართის 1მ^2	0.02 0.14	0.03 0.23
19.	საცურაო აუზები	ღია საერთო ფართის 1მ^2	0.18	0.30
20.	სილამაზის სალონები	ღია საერთო ფართის 1მ^2	0.35	0.58
21.	სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით მიმდინარე წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ობიექტები	ღია საერთო ფართის 1მ^2	0,25	0,42
22.	რესტორნები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	2,40	4,00
23.	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,59	0,98
24.	საცხობები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე)	სამუშაო ფართის 1მ^2	0,26	0,43
25.	აეროდრომები, ავტოსადგომები, რკინიგზისა და საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1მ^2 დახურული ფართის 1მ^2	0,008 0,08	0,013 0,13
26.	პენიტენციალური სისტემები, სამხედრო ნაწილები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	0,6	1,00
27.	საწარმოო დანიშნულების ობიექტების, ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი, კარიერები	საერთო ფართის 1მ^2	0,008	0,013
28.	სერიული პროდუქციის საწარმოების ობიექტები, საწყობები	საერთო ფართის 1მ^2	0,04	0,07

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის

მ = გ X რ

მ - ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის (ლარი);

გ - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

რ - ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა .შ.).